პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 137 (1307) ○ კვირა, 16 ნოემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი ○ ფასი 30 კაპ.

მსოფლიოში მეორე შედეგი

სტალინაბადში დამთავრდა ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ძალოსანთა ამხანაგური შეხვედრა, რომელზეც დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ვ. დვიგუნმა. მან კლასიკური სამჭიდის ჯამში დააგროვა 462,5 კილოგრამი.

ეს შედეგი მსოფლიოში მეორე მაჩვენებელია ქვემძიმე წონის ძალოსანთათვის განთქმული საბჭოთა შტანგისტის ა. ვოროზიოვის რეკორდის შემდეგ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1958 წლის 12 ნოემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“.

2. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ი. ბელიაევი არჩეულია ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ნ. ი. ბელიაევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

თამაში, რომელიც ყველას უყვარს

თამაში, რომელიც ყველას უყვარს — ეს ფეხბურთია.

დღეს ბავშვმაც კი იცის ფეხბურთის დაწვრილებითი გენეალოგია. იცის, რომ ფეხბურთს თამაშობდნენ ჯერ კიდევ უძველესი დროის ადამიანები როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

ისტორიის ქამთა სიავემ ბევრი რამ აღგავა დედამიწის ზურგიდან, ბევრი რამ მტვრად აქცია და მოსპო; მაგრამ ფეხბურთს ვერაფერი დააკლო. ამას ჩვენ ლამაზი სიტყვებისათვის კი არ ვამბობთ. ფეხბურთი ერთ დროს განიცდიდა ნამდვილ ინკვიზირებულ დევნას. ფეხბურთსაც გამოუჩნდნენ მოსისხლე მტრები, რომლებიც მას დიდი ხნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით სდევნიდნენ. ინგლისში მეფეთა მიერ შემზარავი კანონიც კი იქნა გამოცემული ფეხბურთის სასტიკი აკრძალვით, ხოლო რომელიღაც ეპისკოპოსმა ანათემას გადასცა ეს „უბოროტესი“ თამაში.

მაგრამ უმაღლესი კანონი და თვით „უწმინდესი“ ეკლესიაც კი უძლურნი აღმოჩნდნენ ისეთი ყოვლის დამთრგუნავი ძალის წინაშე, როგორიცაა ფეხბურთი და მან არა თუ მოაღწია ჩვენს დღეებამდე, სწორედ ახლა განიცდის თავისი აყვავებისა და ნამდვილი სიჭაბუკის ხანას.

დღეს ფეხბურთი ყველას უყვარს. არსებობს ე. წ. საფეხბურთო სტატისტიკა, რომელიც ცდილობს ციფრთა ჩარჩოებში მოაქციოს კლუბების, გუნდების, მოთამაშეების, მსაჯებისა და სხვათა რაოდენობა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს ტყუილი ცდაა. აბა ვინ აუვა იმ ფეხბურთელთა დათვლას, რომლებიც დილიდან დაღამებამდე დასდევენ ბურთს ეზოებსა და მინდვრებზე. ვინ აღრიცხავს ფეხბურთის მოყვარულთა და მაყურებელთა ულევ ლაშქარს. სტატისტიკა აქ უძლურია.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავს. და ფეხბურთის ეს მრავალმილიონიანი მოყვარულები მოთამაშეებთან, მწვრთნელებთან და მსაჯებთან ერთად სიხარულით ზეიმობენ ჩვენი ფეხბურთის აღმავლობას, ხარობენ მისი წარმატებებით და ამავე დროს დაუფარავ და მკაცრ საყვედურს გამოთქვამენ ნაკლოვანებათა მიმართ.

საბჭოთა ფეხბურთის დიდი პროგრესი დღეს ყველასათვის ნათელია. თუ რევოლუციამდელი რუსეთის ფეხბურთს არავითარი ფასი და წონა არა ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე, დღეს ჩვენს საუკეთესო საკლუბო გუნდებსა და ნაკრებს კარგად იცნობენ მთელს მსოფლიოში. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა, გამარჯვებები მრავალი ქვეყნის ნაკრებ და საკლუბო გუნდებთან ჩვენს ფეხბურთს მოწინავეთა რიგებში აყენებს მთელს მსოფლიოში.

არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საბჭოთა ფეხბურთი ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. მაგრამ თვით ამ საიუბილეო დღეებშიც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს ტექნიკაში, ტაქტიკური ვარიანტების სიუხვეში, ხშირად უკანა პლანზე გადაწეულ თამაშის ემოციურ მხარეში. ეს ნაკლოვანებანი განსაკუთრებით ნათელი შეიქმნა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ შვეციის გაკვეთილები არ იქნა დროულად და სათანადოდ გათვალისწინებული.

რა შეიძლება ითქვას ჩვენს ქართულ ფეხბურთზე? ოდესღაც საყოველთაოდ განთქმული თბილისის „დინამო“ დღეს განიცდის კრიზისს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. გუნდში ტარდება ათასგვარი ექსპერიმენტები, წლები გადის, ხოლო სასურველი შედეგი არა ჩანს.

„ბ“ კლასში წელს საქართველოდან 3 გუნდი მონაწილეობდა, მაგრამ არც მათი თამაშითაა კმაყოფილი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა.

ფაქტია — ეს დიდი ჩამორჩენაა, მაგრამ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართული ფეხბურთი კვლავ დადგება აღორძინების გზაზე და აჩვენებს თავის ნამდვილ ძალას. ამის საიმედო გარანტიას წარმოადგენს ნიჭიერი, პერსპექტული ახალგაზრდობა, რომელიც უხვადაა ჩვენს გუნდებში. ამის საიმედო საწინდარია ჩვენი საერთო სიყვარული ფეხბურთისადმი.

ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელების ვალია დაუბრუნონ საქართველოს ის კეთილი სახელი, რომელიც მას ჰქონდა წარსულ წლებში.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი“.

8 ჯილდო

მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონი საიუბილეოა. სამამულო ფეხბურთს შეუსრულდა 60 წელი, გარდა ამისა, სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასში ჩატარდა მეოცედ. ამ თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დაწყებისას დაწესებულ იქნა 8 პრიზი სხვადასხვა საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

I

ფეხბურთის საკავშირო სექციამ დააწესა პრიზი გუნდისათვის, რომელიც გათამაშებაში მოიგებდა ყველაზე მეტ მატჩს. ამ პრიზის პრეტენდენტი დიდ ხანს იყო მოსკოვის „სპარტაკი“, მაგრამ მოსკოვის დინამოელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მეორე წრის თამაშები და შეძლეს საკავშირო სექციის ჯილდოს მოპოვება. მოსკოვის „დინამომ“ მოიგო 14 მატჩი, „სპარტაკმა“ — 13.

II

გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის გ. ი. ფედოტოვის სახელობის პრიზი დააწესა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურმა სპორტულმა კლუბმა გუნდისათვის, რომელიც გაიტანდა ყველაზე მეტ ბურთს მოწინააღმდეგეთა კარში. ასეთი აღმოჩნდა მოსკოვის „სპარტაკი,“ რომელსაც გატანილი აქვს 55 ბურთი.

III

საინტერესო ჯილდო იქნა შემოღებული „სპარტაკის“ საკავშირო საბჭოსა და მისი ფეხბურთის სექციის მიერ. იგი განკუთვნილი იყო კლუბისათვის, რომელსაც ექნებოდა ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა გუნდების მიერ შეგროვებული ქულათა მეტი რაოდენობა.

ეს პრიზი დარჩა „სპარტაკში“, ვინაიდან ამ კლუბის ორივე გუნდმა მოაგროვა 52 ქულა (32+20).

IV

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭომ დააწესა პრიზი გუნდისათვის, რომელიც საუკეთესო იქნებოდა პროფკავშირულ კოლექტივებს შორის.

პრიზის პირველი მფლობელი გახდა ლენინგრადის „ზენიტი“, რომელიც გათამაშებაში გამოვიდა VI ადგილზე. ასეთი წარმატება ლენინგრადელებს ჯერ არ ჰქონიათ.

V

ამავე გუნდმა მიიღო პრიზი, რომელიც დაწესებული იყო რსფსრ-ს „ტრუდის“ მიერ საზოგადოების საუკეთესო გუნდისათვის.

VI

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ დააწესა ე. წ. „სამართლიანი თამაშის“ პრიზი გუნდისათვის, რომლის მოთამაშეებს ექნებოდათ შემჩნევათა, გაფრთხილებათა, მინდვრიდან გაძევებათა და დისციპლინის დარღვევის სხვა შემთხვევების ყველაზე ნაკლები რაოდენობა.

„სამართლიანი თამაშის“ პრიზი მიიღო „შახტიორმა“ (სტალინო).

VII

გაზეთ „ტრუდის“ სპეციალური პრიზი დაწესებულ იქნა გათამაშების ყველაზე შედეგიანი მოთამაშისათვის. ეს პრიზი მიიღო მოსკოვის „სპარტაკის“ მარცხენა გარემარბმა ა. ილინმა. მოგვყავს ჩემპიონატის სნაიპერთა სია:

ა. ილინი („სპარტაკი“) — 19 ბურთი

გ. გუსაროვი („ტორპედო“) — 14 ბურთი

ვ. ივანოვი („ტორპედო“) — 14 ბურთი

ვ. ურინი („დინამო“ მ.) — 11 ბურთი

შ. იამანიძე („დინამო“ თბ.) — 11 ბურთი

გ. აპუხტინი (ცსკ მო) — 10 ბურთი

ვ. ვორომილოვი („ლოკომოტივი“) — 10 ბურთი

ე. გოლოდეცი („დინამო“ კიევი) — 10 ბურთი

VIII

ჯერჯერობით გაუთამაშებელი დარჩა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მოსკოვის საქალაქო საბჭოს მეტად საინტერესო პრიზი. იგი გადაეცემა გუნდს, რომელმაც პირველობის მატჩებში განახორციელა უახლესი ტაქტიკური კომბინაციები.

პრიზის მინიჭების საკითხი გადაწყდება სსრ კავშირის საფეხბურთო სექციის სპეციალურ სხდომაზე.

60 წელი — სამამულო ფეხბურთი — 60 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ

რკინიგზელთა სახლში (პლეხანოვის პროსპექტი № 127) შედგება ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის

საიუბილეო

პლენუმი

მიძღვნილი სამამულო ფეხბურთის 60 და თბილისის მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავისადმი

დასაწყისი 19 ს.

ჩვენი ქვეყნის სპორტულმა საზოგადოებრიობამ წელს დიდი ზეიმით აღნიშნა სასიხარულო თარიღი — სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავი.

როცა ლაპარაკია სამამულო ფეხბურთის არსებობის 60 წლის შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არის მხოლოდ ოფიციალურად ფიქსირებული თარიღი. 1897 წელს პეტერბურგის „სპორტის მოყვარულთა წრემ“ შექმნა პირველი გუნდი და ეს თარიღი მიჩნეულ იქნა რუსეთში თანამედროვე ფეხბურთის ჩასახვის დოკუმენტურ საწყისად. მაგრამ არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებული თარიღებით. საქართველოში ბურთით თამაში ცნობილია ჯერ კიდევ უძველესი დროიდან და იგი ხალხში ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ასევე გავრცელებული იყო ბურთით თამაში შუა აზიის რესპუბლიკებსა და თვით რუსეთში.

ფეხბურთი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. ძნელად რომ სადმე იყოს მხარე, სადაც არ უყვარდეთ ეს ტემპერამენტიანი, ათლეტური, ცეცხლითა და ბრძოლის ენით აღსავსე თამაში. განსაკუთრებით უყვართ ფეხბურთი საქართველოში და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩვენში იგი გახდა ნამდვილ სახალხო სპორტულ სახეობად.

თანამედროვე ფეხბურთის კერას საქართველოში წარმოადგენს შავი ზღვის სანაპირო ქალაქები ფოთი და ბათუმი. პირველობის პრიორიტეტი ამ შემთხვევაში შეიძლება მივაკუთვნოთ ფოთს, რომლის ნავსადგურში განსაკუთრებით ხშირად შემოდიოდნენ გემები გასული საუკუნის 80-90-იან წლებში და გაჰქონდათ მარგანეცი.

სანამ წარმოებდა გემებიდ დატვირთვა, ინგლისელი მეზღვაურები გადმოდიოდნენ ნაპირზე და ნავსადგურთან ახლო მყოფ გაშლილ მინდორზე თამაშობდნენ ფეხბურთს. ადგილობრივი ახალგაზრდობა, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული მუშები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს საინტერესო თამაშს და გატაცებით ბაძავდნენ უცხოელებს. მალე ისე წავიდა საქმე, რომ ფოთელები შეჯიბრებაში იწვევდნენ მეზღვაურებს და ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა მოწაფეები ამარცხებდნენ კიდეც მასწავლებლებს. ფეხბურთი სულ უფროდაუფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს ფოთის მოსახლეობაში. იქმნებოდა გუნდები, რომლებიც წარმატებით ატარებდნენ საქალაქთაშორისო მატჩებს. სწორედ ფოთის მინდვრებზე აღიზარდნენ თბილისის „დინამოს“ წამყვანი მოთამაშეები ე. ნიკოლაიშვილი, გ. გაგუა, ვ. ჯორბენაძე, ა. ხარბედია, ბ. პაიჭაძე, გ. ანთაძე, ვ. ბერძენიშვილი და მრავალი სხვა.

ასევე ჰპოვა გავრცელება ფეხბურთმა ბათუმშიც. 1908-1910 წლებში აქ უკვე აუარებელი, ე. წ. „ველური“ გუნდი ითვლებოდა, რომელთა ბაზაზე შემდეგ შეიქმნა რეგულარული გუნდები „სოკოლი“, „მარსი“, „ოლიმპია“ და სხვა. ბათუმის გუნდები რეგულარულად ატარებდნენ შეხვედრებს, როგორც უცხოელ მეზღვაურებთან, ისე სხვა ქალაქების გუნდებთან. 1905 წელს ბათუმის ნაკრები გუნდი ჩავიდა ტრაპიზუნდში, სადაც ადგილობრივ ნაკრებთან ერთი მატჩი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა. ბათუმის გუნდში აღიზარდნენ ცნობილი ფეხბურთელები რ. პოღოსოვი, ნ. ანიკინი, ა. ელიავა, ა. კელეჯიანი, კ. პეხლევანიდი, ბ. ფროლოვი, გ. არუშიძე და სხვანი.

პირველი ორგანიზებული გუნდი ქ. სოხუმში ჩამოყალიბდა 1908 წელს რეალურ სასწავლებელში, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ სოხუმში უკვე იყო გუნდები „ორიოლი“, „დიანა“, „ნადეჟდა“ და სხვ. ამ ხანებში გუნდი შეიქმნა ოჩამჩირეშიც, სადაც თამაშობდნენ ა. მარღანია, ძმები ჩხოტუები, ბ. ნორაკიძე და სხვანი.

1923 წლიდან დაწყებული სოხუმის ნაკრები ითვლებოდა ერთერთ უძლიერეს გუნდად საქართველოში, ხოლო მისი წამყვანი მოთამაშეები მ. თურქია, კ. ქოიავა, ა. ფოჩხუა და სხვანი წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდებში.

1930 წლიდან სოხუმში ჩამოყალიბდა ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც აღიზარდნენ ტყავის ბურთის შესანიშნავი ოსტატები ა. ღოღობერიძე, ვ. მარღანია, ნ. სიმონიანი, ნ. ძიაპშიპა, ა. ტყებუჩავა, ვ. სანაია, ი. ვარდიმიადი, გ. ბონდარენკო, ი. გრამატიკოპულო და სხვანი.

შედარებით გვიან, ვიდრე ზღვის პირა ქალაქებში შეიქმნა ორგანიზებული საფეხბურთო გუნდები ქუთაისში, მაგრამ ჯერ კიდევ რევოლუციამდე აქ იყო „მერცხალი“, „შევარდენი“. სადაც თამაშობდნენ ლ. ხოტივარი, გ. შვარციბანი, ბ. გოგოძე და სხვანი. განსაკუთრებული პროგრესი განიცადა ფეხბურთმა ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სწორედ ამ ქალაქში აღიზარდნენ ცნობილი ფეხბურთელები ნ. ხერხაძე, უ. სალდაძე, ძმები გერაძეები, შ. ვაჩაძე, გ. ჯავახაძე, ჯ. რუსაძე და სხვანი.

ასეთივე ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს ფეხბურთს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში (სურამი, თელავი, გორი, ხაშური და სხვ.).

თბილისში თანამედროვე ფეხბურთის გავრცელების ხანად უნდა მივიჩნიოთ 1909-12 წლები. მაშინდელი საფეხბურთო ინვენტარი და ფორმა საკმაოდ პრიმიტიული იყო, მაგრამ ყველაფერი ეს თანდათან ყალიბდებოდა და წესრიგში მოდიოდა.

შემდგომ წლებში თბილისის ყოველ გიმნაზიას და სპორტულ საზოგადოებას ჰყავდა საფეხბურთო გუნდები, სადაც თამაშობდნენ მეკარე გ. ჩხიკვაძე, მცველი გ. ჩიკვაიძე, თავდამსხმელები ი. გაგუა, ნ. შადრინი და სხვანი. ფეხბურთს მისდევდნენ აგრეთვე ცნობილი ტანმოვარჯიშეები გ. ეგნატაშვილი, გ. ნიკოლაძე და სხვანი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისი იქცა რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის მძლავრ კერად. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან აქ გადმოდიან საუკეთესო ფეხბურთელები და თბილისი უკვე წარმოადგენს მძლავრ ძალას. ა. ჟორდანია, შ. შავგულიძე, მ. ბერძენიშვილი, ძმები სოფოვები, გ. ჯეჯელავა, ა. დოროხოვი, ა. კიკნაძე, ვ. რამიშვილი და სხვანი წარმატებით იცავდნენ თბილისის გუნდების სახელს საფეხბურთო მინდვრებზე.

1925 წელს თბილისში შეიქმნა „დინამოს“ საფეხბურთო კოლექტივი, რომელსაც შემდგომში წილად ხვდა საქვეყნოდ გაეთქვა ქართული ფეხბურთის სახელი. თბილისის „დინამომ“ წლების განმავლობაში შეიმუშავა და შექმნა თამაშის საკუთარი სტილი. დინამოელთა ტემპერამენტიანი მძლავრი თამაში შეიყვარეს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სტადიონებზე. მრავალი სახელოვანი გამარჯვება ჩაწერა ამ სახელოვანმა კოლექტივმა საბჭოთა კავშირის პირველობისა და თასის, აგრეთვე საერთაშორისო მატჩების ისტორიაში და თუ დღეს თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი ერთგვარ კრიზისს განიცდის, სრული უფლება და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ესაა დროებითი, გარდამავალი წარუმატებლობა. ნიჭიერ, პერსპექტულ ახალგაზრდათა დიდი რაოდენობა გუნდში საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ სულ მალე გუნდი აღიდგენს თავის ძველ დიდებას.

თბილისის „დინამოს“ გარდა საკავშირო ასპარეზზე გამოდიან თბილისის სკვო, ქუთაისის „ლოკომოტივი“, თბილისის „ბურევესტნიკი“. გასულ წელს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო თასი მოიპოვეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელებმა. არა ერთხელ დაუკავებიათ პირველი ადგილები საკავშირო შეჯიბრებებში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდსა და ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლის კოლექტივებს, აგრეთვე კოლმეურნე ფეხბურთელებს.

ყველაფერი ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში ფეხბურთი ვითარდება და მტკიცედ მიიწევს წინ.

ჩვენი ვალია კიდევ უფრო ავამაღლოთ ფეხბურთის კლასი, ავამაღლოთ თამაშის ტაქტიკა და ტექნიკა. ქართველმა ფეხბურთელებმა საქმით უნდა უპასუხონ ხალხს იმ დიდი სიყვარულისათვის, რომელსაც იგი იჩენს ფეხბურთისადმი.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

★

ვისაც ერთხელ უნახავს მინდორზე ბორის პაიჭაძე მას არ შეიძლება დაავიწყდეს მისი ბრწყინვალე თამაში, შეუდარებელი ფინტები და შესანიშნავი დარტყმები კარში. იგი იყო ნამდვილი მებრძოლი — ცეცხლოვანი და ტემპერამენტით აღსავსე, გაბედული და უაღრესად თავაზიანი მოთამაშე.

სურათზე: ბ. პაიჭაძე თამაშის დროს. უკანა პლანზე — გ. ანთაძე.

★

რესპუბლიკურ კომიტეტში

სამამულო ფეხბურთის 60 და ფეხბურთში საქართველოს მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, **რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის** წოდება მიანიჭა: ზ. ვ. თოდაძეს (ქუთაისი), ს. ა. ბუაძეს (ფოთი), ა. ა. შურღაიას (ცხაკაია), ლ. ვ. შენგელიას (ოჩამჩირე), გ. ვ. მგალობლიშვილს (გორი), რ. ა. კუსიდის (ბათუმი), ნ. ა. სომხიშვილს (თბილისი), მ. პ. მანიკინს (თბილისი), დ. შ. უშვერიძეს (თბილისი), ა. დ. ვარდიაშვილს (თბილისი), გ. პ. თავაძეს (თბილისი), დ. ვ. შკუროვს (თბილისი), რ. ა. მამაჯანოვს (თბილისი).

პირველი კატეგორიის მსაჯის წოდება: ი. მ. ებრალიძეს (ლანჩხუთი), მ. მ. ლაშხს (ახალციხე), გ. მ. გოზალოვს (გორი).

ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულ არიან: ა. დ. ჟორდანია, ბ. ს. პაიჭაძე, ბ. დ. ფროლოვი, კ. ი. კრავჩენკო, ა. ვ. გონელი, დ. პ. ცომაია, ნ. ი. ჩხატარაშვილი, ს. ვ. სიხარულიძე, ს. კ. პანდელოვი, ვ. ს. შავდია, შ. ი. შავგულიძე, გ. ს. ანთაძე, ა. ნ. ღოღობერიძე, ა. ტყებუჩავა, ა. ა. დოროხოვი, ი. ლ. ხარაში, გ. მ. ჯინჭარაძე.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვებული არიან:

დ. ი. ასათიანი, ნ. გ. არჩაია, გ. ს. ანთაძე, გ. ვ. აკობაშვილი, გ. კ. აკოფოვი, მ. პ. ბუტუსოვი, გ. ი. ვერულავა, ვ. მ. ბერეჟნოი, გ. კ. ბაქანიძე, ზ. დ. ბარათაშვილი, ა. ნ. ღოღობერიძე, გ. ა. გაგუა, ა. ს. გუნია, კ. ი. გოგოტაძე, ი. მ. გაგუა, ნ. გოგინავა, გ. გოგინავა, კ. გ. გიორგობიანი, გ. მ. ჯინჭარაძე, ი. ნ. დევდარიანი, გ. ა. ჯომარჯიძე, გ. ი. ჯეჯელავა, ა. ა. დოროხოვი, ს. ი. ჭეჭელავა, ო. დ. ჯებაშვილი, გ. ეგიაზაროვი, ო. ეგიაზაროვი, ა. დ. ჟორდანია, ნ. ი. ჟელეზნიკოვი, რ. კ. ქღენტი, ო. შ. ჟორდანია, ა. ი. ზაზროშვილი, პ. რ. კარანაძე, გ. ს. ქებაძე, კ. ი. კრავჩენკო, ს. ქუთათელაძე, ტ. ვ. ყრუაშვილი, ვ. კალოიანი, ნ. გ. კონდახსაზოვი, ბ. ა. კარკოვი, ბ. ა. კოპაძე, რ. რ. ქორქია, გ. ვ. კირვალიძე, ნ. ვ. კეშელავა, ზ. დ. ქვარიანი, ვ. ყურუა, ი. ო. ლობჟანიძე, პ. ს. ლოლაძე, კ. ლოგინოვი, გ. ლომთაძე, ს. პ. ლოგინოვი, შ. ა. ლომინაძე, მ. პ. მინაევი, ი. ი. მიქაძე, მ. მ. მელქუ, რ. მახარაძე, კ. კ. მესხი, მ. მ. ნადიროვი, ვ. ვ. ნარიმანიძე, გ. ნიკურაძე, ა. ი. ორლოვი, პ. ე. ორეხოვი, ბ. ს. პაიჭაძე, რ. კ. პოღოსოვი, ვ. ნ. პროკოფიევი, ა. კ. პანდელოვი, ვ. ა. პაიჭაძე, ს. კ. პანდელოვი, ა. ს. პაიჭაძე, ვ. პ. პანიუკოვი, ვ. ვ. ფალავანდიშვილი, უ. ა. ფურცელაძე, ს. იმნაძე, ს. ა. სანაძე, დ. მ. სამუშია, ბ. ტ. სკოლზნევი, ა. ა. სოკოლოვი, ი. ა. სილაგაძე, ვ. ნ. სოკოლოვი, ს. ვ. სიხარულიძე, ი. თურქია, ვ. გ. თურქია, მ. გ. თურქია, ვ. ვ. თავართქილაძე, მ. გ. ტოროზაშვილი, ი. ნ. უგულავა, ა. ე. ხარბედია, ი. ა. ხარაში, ი. პ. ხოფერია, კ. გ. ხურციძე, გ. ვ. ხაჩიძე, დ. პ. ცომაია, გ. ს. ცეკავა, შ. კ. ციხისელი, ა. კ. ცაგარეიშვილი, დ. შ. უშვერიძე, ს. ა. ცატუროვი, გ. ვ. ჩიკვაიძე, გ. მ. ჩხიკვაძე, გ. ს. ჩიკვაიძე, ნ. ი. ჩხატარაშვილი, შ. ი. ჩხატარაშვილი, ა. ი. ჩიტაია, პ. ვ. ჭელიძე, შ. ი. შავგულიძე, ს. პ. შუდრა, ვ. ს. შავდია, ე. ა. შევარდნაძე, რ. ს. შარტავა, ვ. მ. შერშოვი, ი. ვ. შპაკოვსკი, შაქარაშვილი, კ. ა. ელიავა, ს. ვ. ესაკია, დ. ზ. ესიტაშვილი, მ. ი. იაკუშინი, ს. იაკიმიდი, ა. იაკიმიდი, გ. შიოშვილი, ლ. ვ. ჩხაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქებსა და რაიონებში

✦

მცხეთა

ნიჩბისის (მცხეთის რაიონი) საშუალო სკოლაში მოეწყო შიდასაკოლექტივო პირველობა კალათბურთსა და ყუმბარის ტყორცნაში. პირველ სახეობაში გაიმარჯვა IX კლასის გუნდმა. ყუმბარის ტყორცნაში ყველას აჯობა მ. გალუსტაშვილმა.

გ. უეენიშვილი

✦

ჩატარდა მცხეთის მხატვრულ-კერამიკული სკოლის მოსწავლეთა სპარტაკიადა. შაშსა და ჭადრაკში გაიმარჯვა მე-3 კურსის პირველი ჯგუფის გუნდმა. მძლეოსნობაში საუკეთესონი იყვნენ 1-ლი კურსის პირველი ჯგუფის სპორტსმენები, ხოლო სროლაში — ამავე კურსის მეორე ჯგუფის მოსწავლეები.

გ. მამულოვი

ვინ გადავა „ა“ კლასში

✦

გუშინ თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ სტადიონებზე შედგა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი შეხვედრები.

ეს იყო III-IV ტურის მატჩები, რომლებსაც საბოლოოდ უნდა დაედოთ ზღვარი ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის. ამის შემდეგ უკვე ნათელი ხდებოდა ვის დარჩებოდა შანსი „ა“ კლასში გადასასვლელად და ვინ დაჰკარგა იგი საბოლოოდ.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როსტოვისა და ლვოვის არმიელთა შეხვედრას. მართალია, გათამაშების ცხრილში ამ გუნდებს სრულიად დიამეტრალური ადგილები ეჭირათ, მაგრამ ლვოვის კოლექტივი თავისი რეალური ძალით არ ჩამოუვარდება არც ერთ მოწინააღმდეგეს და ჩვენის აზრით, სავსებით დაუმსახურებლად იმყოფება ბოლო ადგილზე.

მატჩის დასაწყისი კვლავ დრამატიული აღმოჩნდა ლვოველთათვის. მეკარე სუსლამ პირველივე წუთებზე ორი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რომლებიც ორ გოლად დაუჯდა გუნდს და ასეთი განდიკაპის შემდეგ ბრძოლა ლიდერთან, რა თქმა უნდა, მეტად ძნელი იყო. როსტოველთა ერთ-ერთი იერიშისას ცენტრალურმა თავდამსხმელმა მოროზოვმა შორიდან გააწოდა ბურთი მეკარეს, რომელიც ამ მომენტში გაუფრთხილებლად იყო გამოსული წინ და უძლური იყო მის მისაღებად. მცირე ხნის შემდეგ სუსლამ კვლავ დაუშვა ანალოგიური შეცდომა და ეგოროვმა (№ 9) ანგარიში ორამდე გაზარდა — 2:0.

მიუხედავად ამისა, ლვოველები განაგრძობდნენ აქტიურად თამაშს და თავდამსხმელთა ერთ-ერთი კომბინაცია (ჩურკოვი-მოროზოვი) დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი ლამაზი გოლით.

ტაიმის დასრულებამდე სუსლამ კიდევ ერთი ბურთი გამოიტანა კარიდან, რომლის აღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა (იგი კვლავ ეგოროვმა გაიტანა). შესვენების შემდეგ დაძაბული ბრძოლა მინდორზე არ შემწყდარა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა, გაიმარჯვეს როსტოველებმა — 3:1.

ამავე ანგარიშით — 3:1 მოიგო მატჩი ოდესასთან მეორე ლიდერმა, სვერდლოვსკის არმიელთა გუნდმა, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში ხელთ ეპყრა ინიციატივა.

ხაბაროვსკის არმიელებს 2 ქულა ჰქონდათ სევასტოპოლის სკჩფსთან შეხვედრის წინ და გამარჯვების შემთხვევაში ისინი ლიდერთა შორის იმკვიდრებდნენ ადგილს. მაგრამ შორეული აღმოსავლეთის ფეხბურთელები მოწინააღმდეგეებთან შედარებით აშკარად სუსტი იყვნენ როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად, და მათი სუსტი ადგილები უკვე კარგად იყო ცნობილი მეზღვაურთათვის. მათ გამარჯვების მისაღწევად სრულიად უბრალო გეგმა აირჩიეს — ფართოდ გაშალეს თამაში, დააშორეს ერთმანეთს ხაბაროვსკელთა მცველები, დაქსაქსეს ისინი და გრძელი, ზუსტი გადაცემებით თავისუფლად გადიოდნენ მათ შორის. ლიტვინოვმა, ბუცკიმ და სმირნოვმა (2) 4 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს ხაბაროვსკის გუნდის კარში.

• • •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
როსტოვი	3	3	0	0	7:2	6
სევასტოპოლი	4	2	1	1	9:4	5
სვერდლოვსკი	3	2	1	0	8:4	5
ოდესა	4	1	1	2	7:8	3
ხაბაროვსკი	4	1	0	3	5:12	2
ლვოვი	4	0	1	3	6:12	1



რკინიგზელთა რეკორდები

„ლოკომოტივის“ სპორტდარბაზში ამასწინად ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების პირველობა ძალოსნობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, სტალინის სახელობის ორქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, თბილისის რკინიგზის კვანძის, სამტრედიის და ხანაიის გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: აბგარიანი (ხანაიი), ზახარიანი (თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი), გაჩეჩილაძე (თბილისის კვანძი), ალბოროვი, მიმინოშვილი, საფაროვი (სამივე რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტიდან) და მაჭარაშვილი (თბილისის კვანძი).

შეჯიბრებაზე დამყარებულ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის კვანძის ექვსი რეკორდი, რომელთაგან ოთხი სპორტის ოსტატ მიმინოშვილს ეკუთვნის (აჰიმვა—125 კგ, ატაცი — 110 კგ, აკვრა — 150 კგ. სამჭიდის ჯამში — 385 კგ). ორი რეკორდი დაამყარეს ხანაიელმა სპორტსმენებმა აბგარიანმა და გარდიანმა. პირველმა (მჩატე წონა) ორი ხელით აკრა 97,5 კგ, მეორემ (ქვემსუბუქი წონა) ატაცში აჩვენა 86 კგ.

ა. ბარნოვი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მიმინოშვილი ფიცარნაგზე.

ფოტო ა. ვართანოვისა.



უძლიერესის სახელისათვის

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გრძელდება რესპუბლიკის უძლიერეს ფრენბურთელთა კოლექტივების შეჯიბრება ჩემპიონის სახელისათვის. როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, წინასწარი თამაშების შედეგები გუნდებს ეთვლება ფინალურ ჯგუფშიც. ამან, რა თქმა უნდა, გაამძაფრა ბრძოლა, განსაკუთრებით იმ ქვეჯგუფებში, სადაც ერთად მოხვდა ორი და მეტი ძლიერი კოლექტივი. ასე იყო ვაჟთა ერთ-ერთ ქვეჯგუფში, სადაც ლიდერობისათვის იბრძოდნენ ძველი მეტოქეები — ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივები. მატჩის მსვლელობამ ამ ორ წამყვან გუნდს შორის გვიჩვენა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები გაცილებით უკეთ მოემზადნენ ჩემპიონატისათვის, ვიდრე მათი მოწინააღმდეგეები. შეხვედრის შედეგი 3:1 ზუსტად განსაზღვრავს გუნდებს შორის ძალთა შეფარდებას.

ვაჟთა ფინალურ ექვსეულში ზემოაღნიშნული გუნდების გარდა გამოდიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების გუნდები, აგრეთვე რუსთავისა და აფხაზეთის ნაკრები კოლექტივები.

უკანასკნელ ხანებში არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს გორის პედაგოგიური და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტების ქალთა გუნდები. მატჩები მათ შორის უმეტესად გორელთა სასარგებლოდ მთავრდებოდა. კენჭისყრამ ისინი ამჯერადაც ერთ ქვეჯგუფში მოახვედრა. მართალია, ორივე გუნდს უზრუნველყოფილი ჰქონდა ფინალში მონაწილეობა, მაგრამ ბრძოლა უაღრესად მწვავე გამოდგა. გორის ფრენბურთელებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციებს და დაამარცხეს მეტოქეები ანგარიშით 3:2. ფინალურ ჯგუფში გამოდიან აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, აფხაზეთისა და თბილისის „განთიადის“ ფრენბურთელები.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდმა წარუმატებლად დაიწყო გამოსვლები ფინალშიც. მან განიცადა დამარცხება პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან — 1:3. „განთიადის“ ფრენბურთელებმა შედარებით იოლად (15:4, 15:6, 15:1) დაამარცხეს გორის გუნდი, რომელიც შესამჩნევად დაღლილი იყო წინა დღით ფიზკულტურის ინსტიტუტთან ჩატარებული დაძაბული თამაშის შემდეგ.

კვლავ დაუმარცხებლად გამოდის ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი. ამჯერად მან 3 პარტიაში მოუგო რუსთავის მეტალურგებს. თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად თამაშობენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები. მათ, მართალია, დაამარცხეს აფხაზეთის ფრენბურთელები (3:1), მაგრამ კარგ შთაბეჭდილებას მაინც ვერ სტოვებენ. უძლიერესთა ექვსეულში დაუმარცხებლად გამოდიან ვაჟთა შორის ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდები, ხოლო ქალთა შორის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სპორტსმენები.

• • •

ქვემოთ მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები. **ქალები:** უნივერსიტეტი-აფხაზეთი — 3:0; პოლიტექნიკური ინსტიტუტი-ფიზკულტურის ინსტიტუტი — 3:1, „განთიადი“-გორი — 3:0, **ვაჟები:** ფიზკულტურის ინსტიტუტი-რუსთავი — 3:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი — 3:0, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი-აფხაზეთი — 3:1.

ლ. თუშიშვილი

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გათამაშების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საოლქო პირველობაზე

ამ დღეებში სტალინირში ჩატარდა შეჯიბრება სროლაში მცირეკალიბრიანი შაშხანიდან „განთიადის“ საოლქო საბჭოს პირადგუნდურ პირველობაზე.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა სამხატვრო სასწავლებლის (457 ქულა), ხოლო მეორეზე № 2 საშუალო სკოლის გუნდი (439 ქულა).

პირად პირველობაში გამარჯვება მოიპოვა პ. ბრაუნიკმა (სატყეო კომბინატი), რომელმაც 100 შესაძლებლიდან მოაგროვა 98 ქულა. ქალთა შორის უძლიერესი იყო გ. გასიევა (პარტიის საქალაქო კომიტეტი) — 91 ქულა.

22-მა სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

ნ. ბიკანაძე

სპორტულ საზოგადოებებში

„განთიადი“

დამთავრდა „განთიადის“ თბილისის საქალაქო პირველობა ფრენბურთში, რომელიც ორ ტურად ჩატარდა. გამარჯვებისათვის იბრძოდა 123 გუნდი, რომლებიც დაყოფილი იყვნენ 4 ქვეჯგუფად. საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა და 26 კომისრის რაიონის სპორტსმენებმა.

• • •

„განთიადის“ საქალაქო საბჭოს პირველობაზე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში მონაწილეობდა 51 გუნდი. ორი ტურის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მიეკუთვნათ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტსმენებს.

25-მა სპორტსმენმა პირველად შეასრულა მესამე თანრიგის ნორმატივი.

ი. რუხაძე







სურათზე: ამას წინათ ფოთში ჩატარებული ცხენოსანთა ამხანაგური შეჯიბრების მომენტები. მარცხნივ — თბილისელი გ. ბაბურნი, მარჯვნივ ზევით — ქუთაისელი ა. ტუემალაძე და თბილისელი ა. კირთავა დაბრკოლებათა გადალახვის ტრასაზე.

ფოტო რ. ღვამიჩავასი

ორი რეკორდი

მოეწყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა ძალოსნობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ზ. ყიფშიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ი. ზარქუამ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ვ. კოლონჩენკომ, დ. მუშკუდიანმა (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტიდან), ი. ყოჩიევმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), კ. ბაზაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ზ. კვაჭანტირაძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3, სახელმწიფო უნივერსიტეტი. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა „ბურევესტნიკის“ ორი რეკორდი: ქვემძიმე წონაში კ. ბაზაძემ აიტაცა 121 კილოგრამი, ხოლო ქვესაშუალო წონაში დ. მუშკუდიანმა ორი ხელით აჭარა 145 კილოგრამი.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდა ძალოსანმა დ. მუშკუდიანმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში გადააჭარბა პირველი თანრიგის ნორმატივს (მისი შედეგია 365 კგ.). საყვედურის ღირსნი არიან სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების კოლექტივები, რომლებმაც არ წარმოადგინეს გუნდები შეჯიბრებაზე.

ფ. ნადირაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ჩემპიონთა თასი

მომავალ წელს ევროპის კალათბურთელები მონაწილეობას მიიღებენ კიდევ ერთ, ახალ ღონისძიებაში — ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ქალთა გუნდებს შორის. მთელმა რიგმა ქვეყნებმა საორგანიზაციო კომიტეტს უკვე წარუდგინეს განცხადება, რომლის მიღების საბოლოო ვადაა 1 დეკემბერი.

წინასწარი ცნობებით ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს: გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ბელგიამ, გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ, ბულგარეთმა, საფრანგეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, საბჭოთა კავშირმა, რუმინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, იუგოსლავიამ. ჩემპიონატი დაიწყება 1959 წლის პირველ თებერვალს და გასტანს 30 აპრილამდე.

სხვადასხვა

საფრანგეთი-იტალია —2:2

ამას წინათ პარიზში, „კოლომბოს“ სტადიონზე გაიმართა საფრანგეთისა და იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელსაც 60 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

მოწინააღმდეგენი მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: საფრანგეთი — კოლონა, კელბელი, ჟონკე, მარში, პანვერნი, ლორონი, ვისნესკი, დუისი, ფონტენი, დიოლადერიერი, ვენსანი. იტალია—ბუფონი, კორადი, ჩერვატო, სარტი, ბერგამასკი, სეგატო, ბეანი, ბონიპერტი, ნიკოლე, გალი, პასკუტი. თამაშს სჯიდა ესპანელი გარდია საბალი.

უპირატესობა პირველ წუთებზე იტალიელთა მხარეს იყო, მაგრამ ფრანგებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში და მე-15 წუთზე მარცხენა გარეკარბმა ვენსანმა გახსნა ანგარიში. პირველი ნახევრის დამთავრებამდე ანგარიში არ შეცვლილა. მეორე ტაიმის მე-7 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი იტალიელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ნიკოლეს გააქვს ფრანგების კარში. ხოლო კიდევ შვიდი წუთის შემდეგ იგივე ნიკოლე ანგარიშს ორამდე ზრდის.

85-ე წუთზე ფონტენმა მეტად საეჭვო მდგომარეობიდან გაიტანა საპასუხო ბურთი. იტალიელთა ენერგიული პროტესტის მიუხედავად ესპანელმა მსაჯმა ჩათვალა ეს გოლი. მატჩის საბოლოო შედეგია 2:2. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 28 წლის მანძილზე საფრანგეთის ნაკრებს არ აქვს არც ერთი გამარჯვება იტალიის ნაკრებზე.

ასეთივე ანგარიშით 2:2 დამთავრდა საფრანგეთისა და იტალიის ახალგაზრდული გუნდების შეხვედრა.

საჭადრაკო დაფებთან

იუგოსლავია. პორტოროჟის საერთაშორისო ტურნირის წინ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა ბობი ფიშერმა ითამაშა ორი „პატარა“ მატჩი იუგოსლავიის ახალგაზრდა ოსტატებთან — მატულოვიჩსა და იანოშევიჩთან. მატულოვიჩთან მესამე პარტიის თამაშის დროს, როცა ანგარიში 1,5:1,5 იყო, ფიშერმა მას უარეს მდგომარეობაში ზედიზედ რვაჯერ შესთავაზა ყაიმი. ამან წონასწორობიდან გამოიყვანა იუგოსლაველი, წააგებინა ფიგურა, პარტია და მატჩიც. ყაიმით დამთავრდა მატჩი იანოშევიჩთან — 1:1.

არგენტინა. არგენტინის ჩემპიონის სახელი მოულოდნელად მოიპოვა გროსმაისტერმა პილნიკმა. გროსმაისტერმა პანომ ახალგაზრდა ოსტატ რედოლფისთან გაიყო II-III ადგილები. ტურნირში არ მონაწილეობდა ცნობილი გროსმაისტერი ნაიდორფი, რომელიც საცხოვრებლად გადავიდა ვენესუელაში.

ისლანდია. ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა იოჰანსონმა.

ახალი ზელანდია. ეროვნულ პირველობაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 15 წლის ფილიპსმა. ნიპერმა ჰაბუკმა 11 შესაძლებლიდან დააგროვა 8,5 ქულა.

ბელგია. ბრიუსელის მსოფლიო გამოფენის პროგრამაში შეტანილი იყო საერთაშორისო გუნდური ტურნირი ფოსტის მუშაკთათვის. პირველი ადგილი დაიკავეს იუგოსლაველებმა.

შვეიცია. სტოკჰოლმის პირველობაში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მონაწილეობდა ცნობილი ოსტატი ლუნდინი, რომელიც გახდა კიდეც ჩემპიონი (9,5 ქულა 12 შესაძლებლიდან).

პროტესტი ე. ბრენდეჯს

როგორც ბულგარეთის სპორტული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურმა კომიტეტმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს გაუგზავნა პროტესტის წერილი, რომელშიც გამოთქმულია აღშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის ხელისუფლები განაგრძობენ ატომგულის იარაღის გამოცდას ნევადის შტატის სამხედრო პოლიგონზე. ეს გამოცდა, — ნათქვამია წერილში, — ხელს შეუშლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებას სკვოველში. აფეთქებების შედეგად მოწამლულმა ატმოსფერომ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სპორტსმენებზე, ნათქვამია წერილის დასასრულს.

რედაქტორი ი. უგულავა.

თამაშობენ პირველკურსელები

დამთავრდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება.

საინტერესო გამოდგა ნახევარფინალური მატჩი გეოგრაფია-გეოლოგიისა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ფრედ და დებულების თანახმად ორივე გუნდს მიეცა 5-5, 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფეხბურთელებმა ზუსტად გამოიყენეს ხუთივე საჯარიმო, ხოლო თავიანთ კარში მიიღეს მხოლოდ ორი.

ფინალში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდი შეხვდა ეკონომიკის ფაკულტეტის კოლექტივს. ეკონომისტებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 4:0 და დაიკავეს პირველი ადგილი.

ფ. ჭელიძე

თბილისი, „დინამოს“
სტადიონი, 16 ნოემბერი
ერთმანეთს შეხვდებიან
თბილისისა და მოსკოვის ვეტერანთა ნაკრები გუნდები
დასაწყისი 14 ს.



18 ნოემბერი
ამხანაგური შეხვედრა
საქართველოსა და
უზბეკეთის ნაკრებ
გუნდებს შორის
შეჯიბრება ჩატარდება
სახელმწიფო ცირკის
შენობაში
შეჯიბრების მთავარი მსაჯია
თ. ფურცელაძე

20—25
ნოემბერი
საქართველოს
1958 წლის
პირველობა
მონაწილეობენ
ქალაქებ ისა და
რაიონ ების
უძლიერესი გუნდები
მატჩები
ჩატარდება ვ. ი.
ლენინის სახელობის
დარბაზში
დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07229